საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ფურელიანი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.03.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 031/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატების ზ. ჯ.-ს /სიითი №/ და გ. გ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატების ზ. ჯ.-სა და გ. გ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 10 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ზ. ჯ.-სა და ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და იურიდიული მომსახურებისთვის გადაცემული თანხის - 300 ლარის დაბრუნებას.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემიდან 1 კვირის შემდეგ, 2019 წლის აგვისტოში, საადვოკატო ბიურო შპს ,,ა.-ს“ ადვოკატებთან - ზ. ჯ.-ს და გ. გ -სთან გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, საჩივრის ავტორს ადვოკატებისთვის ჰონორარის სახით უნდა გადაეცა 1000 ლარი, ხოლო მათ უნდა განეხორციელებინათ საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის

საქმეზე, სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოებში. გ. გ.-მ ადვოკატებს გადასცა 300 ლარი, ხოლო 700 ლარი უნდა გადაეცა გამოძიების დასრულებისას.

1.3 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ადვოკატებმა არ შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობები, კერძოდ: გ. გ.-მ არაერთჯერ მიუთითა ადვოკატებს მოწმეების დაკითხვის თაობაზე, რომლებიც დაამტკიცებდნენ მის სიმართლეს, მაგრამ ადვოკატების მხრიდან აღნიშნულს რეაგირება არ მოჰყოლია; საჩივრის ავტორმა ადვოკატებს წარუდგინა ერთ-ერთ მოწმესთან განხორციელებული პირადი მიმოწერა, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი მტკიცებულება ყოფილიყო საქმისთვის, თუმცა ადვოკატებმა, საჩივრის ავტორის მოთხოვნის მიუხედავად მიმოწერა არ დაურთეს სისხლის სამართლის საქმეს; ადვოკატებმა სისხლის სამართლის საქმეს ასევე არ დაურთეს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან; საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატები მას არწმუნებდნენ, არ გადაეხადა შეფარდებული გირაოს თანხა, მიუხედავად ამისა საჩივრის ავტორმა გადაიხადა ეს თანხა; ადვოკატებმა არ გაასაჩივრეს გ. გ.-ს წინააღმდეგ გამოცემული შემაკავებელი ორდერი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე ადვოკატებმა მასთან შეუთანხმებლად დააყენეს თვითაცილების შუამდგომლობა, უარი თქვეს მისი ინტერესების დაცვაზე და შესაბამისად, ის დატოვეს დაცვის უფლების გარეშე.

2. ადვოკატების პოზიცია:

2.1 2019 წლის 11 ივნისს ადვოკატებმა გ. გ.-მ და ზ. ჯ.-მ წარმოადგინეს წერილობითი ახსნა–განმარტება, რომლის მიხედვით ადვოკატები არ ეთანხმებიან საჩივრის ავტორის პრეტენზიებს და მათ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებელად მიიჩნევენ.

2.2 ადვოკატების განმარტებით, გ. გ.-მ ადვოკატებს მიმართა მას შემდეგ, რაც მის მიმართ გაცემული შემაკავებელი ორდერის და აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების ვადა იყო გასული. მხარეებს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა 2019 წლის 19 აგვისტოს. ხელშეკრულებით განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები. ხელშეკრულების დადების შემდეგ ადვოკატებმა გამოითხოვეს საქმის მასალები და გაეცვნენ მას, კომუნიკაცია ჰქონდათ ბრალდების მხარესთან მოსაზრებების გაცვლის მიზნით და ხშირად უწევდნენ კონსულტაციებს გ. გ.-ს. მხარეებს შორის ურთიერთობა შეწყდა წინა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც ადვოკატებმა გ. გ.-ს ინტერესების დაცვა აღარ გაგრძელეს არსებით სხდომაზე.

2.3 ადვოკატები მიიჩნევენ, რომ საჩივრის ავტორის მხრიდან არასწორად არის აღქმული და გადმოცემული გარემოებები. კერძოდ, ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატივა თავად საჩივრის ავტორისგან მოდიოდა. რაც შეეხება მოწმეთა გამოკითხვას, გ. გ. ითხოვდა ისეთი მოწმეების გამოკითხვას, რომელთაც საქმეზე შემხებლობა არ ჰქონდათ. მაგალითად, ითხოვდა ს. ბ.-ს გამოკითხვას, რომელსაც ადანაშაულებდა მისი მეუღლისათვის და ქალიშვილისათვის გონების არევაში და სექტანტურ ორგანიზაციაში გაწევრიანებაში, თუმცა ამ პიროვნებას არ ჰქონდა რაიმე კავშირი ოჯახური ძალადობის საქმესთან და გ. გ. ვერ ასახელებდა ხსენებული პირის

რეკვიზიტებს. ასევე გ. გ. ითხოვდა თ. მ.-ს გამოკითხვას, რომელსაც ადანაშაულებდა მის წინააღმდეგ გერმანიისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებთან თანამშრომლობაში და ს. ბ.-ს მსგავსად მისი მეუღლისა და ქალიშვილისათვის გონების არევაში. აღნიშნული პირების გარდა, გ. გ.-ს სხვა პირი არ დაუსახელებია ვისი მოწმის სახით გამოკითხვაც სურდა. გ. გ. ასევე ითხოვდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებიდან იმ საიდუმლო დოკუმენტაციის ამოღებას და საქმეზე დართვას, რომელიც მისი გადმოცემით მის მიმართ ჰქონდათ ნაწარმოები. ადვოკატები ხელშეკრულების გაფორმებამდე შეუთანხმდნენ საჩივრის ავტორს, რომ იურიდიულ მომსახურებას გაუწევდნენ მხოლოდ ოჯახური ძალადობის ბრალდების საქმის ფარგლებში, რაზედაც გ. გ. დათანხმდა და ხელშეკრულების გაფორმება მხოლოდ მისი თანხმობის მიღების შემდეგ მოხდა.

2.4 ადვოკატების განმარტებით, გ. გ.-მ მათ წარუდგინა ს. ბ.-სთან და ადვოკატ ნ. ს.-სთან ნაწარმოები მიმოწერა, თუმცა მიმოწერის შინაარსი არ იყო რელევანტური საქმესთან, ასეც რომ ყოფილიყო კომპიუტერული მოწყობილობიდან ინფორმაციის გამოთხოვა ოჯახური ძალადობის ბრალდების საქმეზე შეზღუდულია კანონით და აღნიშნული განემარტა ბრალდებულსაც.

2.5 ადვოკატების განცხადებით, გ. გ.-მ მათ სოციალურ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შესახებ ამონაწერი წარუდგინა მოგვიანებით, რა დროსაც დასრულებული იყო წინა სასამართლომდე მტკიცებულებათა და ინფორმაციათა გაცვლის ვადა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ცნობის წარდგენას ადვოკატები აპირებდნენ, რადგან სასჯელი შემსუბუქებასთან დაკავშირებული ცნობების, სასამართლო პრაქტიკის და მსგავსი მასალების დამატებით წარდგენა დაშვებულია საერთო სასამართლოების პრაქტიკით. თუმცა, ადვოკატები გაეცვნენ საქმის მასალებს და აღმოჩნდა, რომ ეს ამონაწერი მოთავსებული იყო საქმეში. შედეგად, გ. გ.-ს კანონიერი ინტერესები არც ამ მიმართულებით დარღვეულა.

2.6 ადვოკატების განმარტებით გ. გ.-ს გაუწიეს კონსულტაცია და მას განუმარტეს მოვლენათა განვითარების ყველა შესაძლო ვარიანტი. გ. გ. აცხადებდა, რომ არ შეეძლო გირაოს ქონებით უზრუნველყოფა და არც გირაოს შესაბამისი თანხა გააჩნდა, რის ფონზეც ადვოკატები აიმედებდნენ, რომ თუ ის არ დაარღვევდა გირაოს პირობებს, არ ჩაიდენდა ახალ დანაშაულს და არ მიიმალებოდა, მაღალი იყო იმის ალბათობა, რომ მხოლოდ გირაოს გადაუხდელობის გამო არ შეეცვალათ მისთვის აღკვეთის ღონისძიება. აღნიშნულის თქმის საფუძველს ადვოკატებს აძლევდა პროკურატურის პრაქტიკა, თუმცა თუ გ. გ.-ს თანხის გადახდის შესაძლებლობა ექნებოდა , ადვოკატები ამ საკითხის მოგვარებაში დაეხმარებოდნენ. ადვოკატებთან გასაუბრების შემდეგ, გ. გ. მივიდა პროკურორთან აგრესიით, თუ რატომ არ აძლევდა გირაოს გადახდის საშუალებას. პროკურორი დაუკავშირდა ადვოკატებს და ადვოკატებმა კი გ. გ.-ს დახმარება შესთავაზეს, თუმცა მან ადვოკატებს გამოუცხადა უნდობლობა და დამოუკიდებლად გადაწყვიტა მოქმედება. ადვოკატებსა და საჩივრის ავტორს შორის შედგა შეთანხმება, რომ ხელშეკრულება შეწყდებოდა და მისი ინტერესების დაცვას აღარ გააგრძელებდნენ. სასამართლო სხდომაზე გ. გ.-მ დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის და პროკურორის აცილებაზე, ხოლო შემდეგ თანხმობა განაცხადა ადვოკატების აცილებაზე. ამავე სხდომაზე, გ. გ.-ს დაენიშნა ადვოკატი სახაზინო წესით და ის არ დარჩენილა დაცვის უფლების გარეშე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ზ. ჯ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, სიითი №, სპეციალიზაცია - საერთო.

ადვოკატი გ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, სიითი №, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 გ. გ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2020 წლის 10 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

3.4 საპროცესო კოლეგიამ მხარეთა თანხმობით, ორივე ადვოკატის მიმართ წარმოდგენილი საერთო საჩივრისა და ადვოკატთა ერთობლივი განმარტების საფუძველზე დისციპლინური საქმეები №031/20 და №032/20 გაერთიანდა ერთ წარმოებად და დისციპლინურ საქმეს მიენიჭა №031/20. საქმეთა გაერთიანების მიზანია დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა, ვინაიდან საქმეები ერთმანეთთანაა დაკავშირებული - საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვას ადვოკატები ერთობლივად ახორციელებდნენ, საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატების მიმართ გამოთქმული პრეტენზიები იდენტურია და ადვოკატებმაც საერთო ახსნა-განმარტებით უპასუხეს მას. საპროცესო კოლეგია საქმეთა გაერთიანების საფუძვლად ანალოგიის წესით იყენებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182.4 მუხლს.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატების: ზ. ჯ.-სა და გ. გ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატების მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატებმა არ გაასაჩივრეს მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერი; ადვოკატებმა არ გამოკითხეს საჩივრის ავტორის მიერ მითითებული მოწმეები; ადვოკატებმა არ დაურთეს საქმეს მტკიცებულებები და ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზიდან; ადვოკატები არწმუნებდნენ საჩივრის ავტორს, რომ გირაოს თანხის გადახდის ვალდებულება მას არ ჰქონდა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატების ზ. ჯ.-სა და ადვოკატ გ. გ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 მუხლი: ,,ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.”

5.3 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისთვის და შემდგომში საადვოკატო მოქმედებების განხორციელებისთვის მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთშეთანხმებას, რაც გულისხმობს კლიენტის ინტერესების დაცვას მისი მითითებების გათვალისწინებით და მასთან შეთანხმებული წესით.

5.4 საჩივარში აღნიშნულ პრეტენზიებს ადვოკატები უსაფუძვლოს და დაუსაბუთებელს უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ გ. გ.-ს ინტერესების დაცვის მიზნით მათ ყველა სამართლებრივი მოქმედება შეასრულეს. ადვოკატები განმარტავენ, რომ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული მოწმეთა გამოკითხვა არ მოხდა, რადგან მათ არ ჰქონდათ საქმესთან შემხებლობა და ამავე დროს გ. გ. ვერ ასახელებდა მოწმეთა რეკვიზიტებს (პარ. 2.3). ასევე, არ მოხდა იმ დოკუმენტაციის საქმისთვის დართვა, რომელთა არსებობაზე გ. გ. მხოლოდ საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამდა (პარ. 2.3). საქმეს არ დაერთო მიმოწერა ერთ-ერთ მოწმესა და ადვოკატ ნ. ს.-ს შორის, რადგან მიმოწერის შინაარსი არ იყო რელევანტური საქმესთან, ამავე დროს კომპიუტერული მოწყობილობიდან ინფორმაციის გამოთხოვა ოჯახური ძალადობის ბრალდების საქმეზე შეზღუდულია კანონით და აღნიშნული განემარტა ბრალდებულსაც (პარ. 2.4). ადვოკატები განმარტავენ, რომ ამონაწერი სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზიდან საქმეში იყო წარდგენილი, რის გამოც არ შეზღუდულა საჩივრის ავტორის უფლებები (პარ. 2.5). გირაოს თანხასთან დაკავშირები ადვოკატები მიუთითებენ, რომ მათ კლიენტს განმარტება მისცეს პროკურატურის პრაქტიკის გათვალისწინებით, რომ გირაოს თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში არ მოხდებოდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლა, ხოლო თანხის არსებობის შემთხვევაში ისინი დაეხმარებოდნენ გ. გ.-ს მის გადახდაში (პარ. 2.6). ადვოკატები ასევე აღნიშნავენ, რომ გ. გ.-მ მათ მიმართა შემაკავებელი ორდერი გამოცემის შემდეგ, რა დროსაც გასული იყო მისი გასაჩივრების ვადა (პარ. 2.2)

5.5 საქმეში წარმოდგენილი ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებების პირობებში მნიშვნელობა ენიჭება სადაო ფაქტებთან შემხებლობის მქონე მტკიცებულებებს, რადგან სწორედ მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება საჩივრის ავტორის პრეტენზიების საფუძვლიანობა.

5.6 საქმეში წარმოდგენილია 2019 წლის 19 აგვისტოს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების თაობაზე, რომლის მიხედვით ადვოკატებს, გ. გ.-სა და ზ. ჯ.-ს გ. გ.-ს ინტერესები უნდა დაეცვათ გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში. მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს პირველი ინსტანციის სასამართლოში.

5.7 საჩივრის ავტორის პრეტენზიას შემაკავებელი ორდერის გასაჩივრების თაობაზე, აქარწყლებს ადვოკატთა განმარტება, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულება და 2019 წლის 20 დეკემბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება. კერძოდ, ადვოკატები მიუთითებენ, რომ გ. გ.-მ მათ მიმართ შემაკავებელი ორდერისთვის გათვალისწინებული გასაჩივრების ვადის გასვლის

შემდეგ, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[14] მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით წარმოადგენს 3 დღეს. განჩინების მიხედვით შემაკავებელი ორდერი გაცემული 2019 წლის 11 ივლისს, ხოლო ადვოკატებთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2019 წლის 19 აგვისტოს. შესაბამისად, გასულია კანონით გათვალისწინებული ვადა, რის გამოც ადვოკატები ვერ შეძლებდნენ გ. გ.-ს მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის გასაჩივრებას.

5.8 სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენა და მოწმეთა გამოკითხვა წარმოადგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებსაც კლიენტის თანხმობა სჭირდება, თუმცა მათი წარდგენის მნიშვნელობას და რელევანტურობას ადვოკატი საკუთარი ცოდნით და გამოცდილებით აფასებს. საპროცესო კოლეგიას არ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოწმეთა წარუდგენლობა ადვოკატების მიერ კლიენტისთვის მოულოდნელი იყო. ადვოკატები უთითებენ მოწმეთა არარელევანტურობაზე და მათი საკონტაქტო ინფორმაციის არქონაზე, რაც სამართალწარმოებაში მოწმის დაკითხვაზე შუამდგომლობის დაყენების შემაფერხებელი ფაქტორია. საჩივრის ავტორს არ დაუყენებია პრეტენზია, თუ რატომ არ მოიპოვეს ადვოკატებმა დამოუკიდებლად საკონტაქტო ინფორმაცია. ეს საპროცესო კოლეგიას აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ კლიენტი ინფორმირებული იყო საკონტაქტო ინფორმაციის არქონაზე და ასევე იცოდა ადვოკატების მოსაზრება მოწმეთა: ს. ბ.-ს და თ. მ.-ს საქმისთვის არარელევანტურობაზე. ადვოკატები საჩივრის ავტორის მოსაზრების საწინააღმდეგოდ უთითებენ, რომ საქმეში იყო წარდგენილი ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან.

5.9 საჩივრის ავტორის შემდეგი პრეტენზია მდგომარეობს ადვოკატების მიერ გირაოს თანხის გადახდის ვალდებულების მცდარ განმარტებაში. ამ შემთხვევაში ადვოკატების განმარტება ეფუძნებოდა მათ პრაქტიკაში გავრცელებულ შემთხვევებს, როდესაც გირაოს თანხის გადაუხდელობა არ იწვევს აღკვეთის ღონისძიების შეცვლას. თუნდაც ეს ყოფილიყო მცდარი რჩევა, მაგრამ რადგან არ არის გაკეთებული მითითება, რომ ამ რჩევის მიცემა არაკეთილსინდისიერად განხორციელდა, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს მას. ეთიკის კომისია არ წარმოადგენს სასამართლოს, რომელსაც შეუძლია შეაფასოს არაჯეროვანი მომსახურება. უდაოა, რომ გ. გ.-მ გადაიხადა სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაოს თანხა და შედეგად, მისი აღკვეთის ღონისძიების შეცვლა არ მომხდარა.

5.10 შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არის წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ადვოკატებმა არ იმოქმედეს კლიენტის მითითებების შესაბამისად. თავად ადვოკატების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება ცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

5.11 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვით ადვოკატებმა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გ. გ.-ს თანხმობის გარეშე შეწყვიტეს მისი ინტერესების დაცვა და დატოვეს დაცვის უფლების გარეშე, ეთიკის კომისიამ იმსჯელა აპეკ-ის 8.7 მუხლთან მიმართებით:

> „ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით“.

5.12 ადვოკატი თავად იღებს გადაწყვეტილებას კლიენტის არჩევისას, თუმცა მათთან ურთიერთობის შეწყვეტის დროს ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნა, გონივრული ვადის დაცვით აცნობოს კლიენტის წარმომადგენლობის შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნული ემსახურება კლიენტის ინტერესებს, რადგან მას ჰქონდეს შესაძლებლობა ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ მიმართოს სხვა ადვოკატს.

5.13 საქმეში წარმოდგენილია 2019 წლის 12 სექტემბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გამართული წინა სასამართლო სხდომის ოქმი, სადაც ადვოკატი ზ. ჯ. განმარტებას აკეთებს, რომ მას და გ. გ.-ს განცხადება აქვთ წარდგენილი თვითაცილების თაობაზე, რაც შეთანხმებულია კლიენტთან - გ. გ.-სთან. 13:57:13 საათზე მოსამართლე ეკითხება გ. გ.-ს არის თუ არა თანახმა აცილებული იყვნენ ადვოკატები, 13:58:08 საათზე გ. გ. თანხმობას აცხადებს მოსამართლის წინაშე, რითაც მან დაადასტურა, რომ აღარ სურდა ადვოკატებმა ზ. ჯ.-მ და გ. გ.-მ განაგრძონ მისი ინტერესების დაცვა. ამავე სხდომაზე, 14:09:27 საათზე გ. გ.-მ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით, რაც მოსამართლის მიერ დაკმაყოფილდა. მოსამართლემ განუმარტა ბრალდებულ გ. გ., რომ შემდეგი სხდომიდან მას შესაძლებლობა ექნებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო ადვოკატით.

5.14 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატთა მხრიდან არ მომხდარა კლიენტის ინტერესის უგულებელყოფა. ადვოკატთა აცილება იყო საჩივრის ავტორის სურვილი, ამავე დროს გ. გ. არ დარჩენილა დაცვის უფლების გარეშე, რითაც ადვოკატების მხრიდან დაცულია კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის წესი.

5.15 საჩივრის ავტორის მოთხოვნაზე, რომ ადვოკატებმა დაუბრუნონ გ. გ.-ს ჰონორარის სახით მიღებული 300 ლარი, საპროცესო კოლეგია მიუთითებს, რომ თანხის დაბრუნების საკითხი არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. თანხის დაბრუნება წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნის საფუძველს, რისთვის საჩივრის ავტორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

5.16 ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის განხილვის დროს კომისიას უფლება აქვს იმსჯელოს აპეკ-ის 8.15 მუხლის ფარგლებში, რომლის მიხედვით „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“. შესაბამისად, მაშინ როდესაც ეთიკის კომისია ადგენს, რომ მიზეზის მიუხედავად, ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობით და ფარგლებში, რასაც კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა, კომისიას უფლება აქვს მიუთითოს ადვოკატს, რომ მას ეკისრება ვალდებულება გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს.

5.17 მხარეთა ახსნა-განმარტების მიხედვით, საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა მხოლოდ 300 ლარი, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1000 ლარიდან 700 ლარი არ გადაუხდია. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება შეწყდა მომსახურების სრულად განხორციელებამდე, რის გამოც კლიენტმა ვერ მიიღო შეთანხმებული მომსახურება, ხოლო ადვოკატებმა შეთანხმებული ჰონორარი. შესაბამისად, საპროცესო კომისია ვერ ადგენს აშკარა შეუსაბამობას ადვოკატების მიერ მიღებული ჰონორარსა და გაწეული მომსახურებას შორის.

5.18 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატების გ. გ.-სა და ზ. ჯ.-ს ქმედებებში ვერ დგინდება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, რის გამოც ადვოკატთა მიმართა არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.19 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.1 და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №031/20 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატების ზ. ჯ.-სა (სიითი №) და გ. გ.-ს (სიითი №) მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ფურელიანი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/